საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა საზოგადოება

ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა საზოგადოება თბილისის სამეცნიერო საზოგადოება 1953 გამოეყო 1946 ვ. ვარაზის მიერ დაარსებულ სამედ.-ბიოლ. საზ-ბას, რ-იც აერთიანებდა მედ. და ბიოლ. სხვადასხვა დარგის (ანატომები, ჰისტოლოგები, ფარმაკოლოგები, ემბრიოლოგები, ბიოქიმიკოსები და სხვ.) წარმომადგენლებს.

1959-მდე მისი პირველი თავ-რე იყო ა. ნათიშვილი, 1959–66 - ა. ლეჟავა, 1966-იდან დღემდე ნ. ჯავახიშვილია. საზ-ბის წევრები აქტ. მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა რანგის ყრილობისა და სამეცნ. ფორუმის მუშაობაში. 1966 ამ საზ-ბის ინიციატივით თბილისში ჩატარდა VII საკავშ. ყრილობა, გამოიცა ყრილობის თეზისები (1966) და მასალები (I – II ტომი, 1968). საზ-ბის ინიციატივით ჩატარდა ამიერკავკ. მორფოლოგთა კონფერენციები (თბილისი, 1975; ბაქო, 1978; ერევანი, 1982; ბათუმი, 1985). ამ კონფერენციების ყველა მასალა დაბეჭდილია. გამოცემულია საზ-ბის შრომათა 6 კრებული. საზ-ბა აერთიანებს თბილ. ყველა უმაღლეს სასწავლებელსა და სამეცნ.-კვლ. დაწესებულებაში მომუშავე სპეციალისტებს (200-ზე მეტი წევრი).

ნ. ჯავახიშვილი